ანალიტიკური წერა (AW1)

I ვარიანტი

ორი დავალება

დრო – 1 სთ 10 წთ

დავალება I – მსჯელობის ანალიზი

ქალაქის ერთ-ერთ უბანში დიდი პოპულარობით სარგებლობდა სპორტული კომპლექსი. უფროსებისათვის განკუთვნილ საცურაო აუზთან ერთად კომპლექსში იყო აუზი ბავშვებისათვის, სადაც მათ ცურვას ასწავლიდნენ. კომპლექსს ჰქონდა ასევე დარბაზი, რომელშიც ფუნქციონირებდა იოგას წრე. კლიენტებს შეეძლოთ, სპორტული კომპლექსის მომსახურებით ესარგებლათ დღის ნებისმიერ მონაკვეთში, მათთვის ხელსაყრელ დროს.

რემონტის გამო სპორტული კომპლექსი ნახევარი წლით დაიხურა. განახლების შემდეგ კომპლექსში ფუნქციონირებს თანამედროვე ტრენაჟორებით აღჭურვილი დარბაზი, სადაც გამოცდილი ინსტრუქტორები დილის საათებში კონსულტაციას უწევენ კლიენტებს; უფროსებისათვის მოქმედებს საცურაო აუზი და ასევე აუზი წყლის აერობიკისათვის. ადმინისტრაციამ შეინარჩუნა მომსახურების ძველი ფასები, თუმცა იძულებული გახდა, უარი ეთქვა სარეკლამო ბუკლეტზე, რომელსაც ადრე სისტემატურად ავრცელებდა ქალაქში.

მიუხედავად ადმინისტრაციის მოლოდინისა, რომ განახლებული კომპლექსი მიიზიდავდა მეტ კლიენტს, მოხდა პირიქით - კლიენტების რიცხვმა იკლო.

ახსენით, რას შეიძლება გამოეწვია კლიენტების რიცხვის კლება სპორტულ კომპლექსში?

ნაწერი არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.

დავალება II – თემა მოცემულ საკითხზე

დღეს, როდესაც ინტერნეტით ნებისმიერი ფილმის ნახვაა შესაძლებელი, აღარ არის საჭირო კინოთეატრების განვითარებასა და კეთილმოწყობაზე ზრუნვა.

გამოთქვით თქვენი აზრი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, ეთანხმებით თუ არ ეთანხმებით ამ პოზიციას; საკუთარი აზრის დასასაბუთებლად მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები.

ნაწერი არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.